საქართველო

წელიწადი მეხუთე | ხუთშაბათი, 28 მარიამობისთვე 1919 წ. № 184 | ფასი 3 მან.

ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ღირება 180 მან. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 60 მან. ცალკე № 3 მან. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა—2 მ. 50 კ. ნისია განცხადებები 3 მ. სამგლოვიარო განცხადება თითოეულ 60 მ. მისამარ-გამოცვლა 10 მ. რედაქცია და კანტორა ღიაა დილის 9 საათ. ნაშ. 3 საათამდე.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა; ფოსტის ადრესი, თბილისი, ფოსტის ყუთი № 76; ტელეგრამის ადრესი:—თბილისი „საქართველო“.

ტელეფონი № 15—73

კინო-თეატრი. რუსთაველის პროსპ. № 21.
პირველი სეანსის დასაწყისი სად. 6 საათზე.

დღეს, ხუთშაბათს, მარიამობისთვის 28-ს ახალი პროგრამა
ჩვენს ეკრანზე აჩვენებენ კლასიკურ კინო-პიესას
გლადიატორთა ზელადი
(სპარტაკი) 6 დიდ ნაწილად.
მთავარ როლში იტალიის ცნობილი მსახიობი კაპოცცი. სურათის დროს დაუკრავს სიმფონიური ორკესტრი. მუსიკოსთა რიცხვი გადიდებულია.

ღრმად დამწუხრებულნი ესტატე დიმიტრის ძე და ელისაბედ ანდრიას ასული ლომიძეები შვილებით დიმიტრით და თამარით და სიძით იოსებ იაკობის ძე რახნაშვილით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და ამხანაგებს, რომ 31 მარიამობისთვეს კვირას, ქ. სურამში ფერისცვალების ეკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულთა სტუდენტ-მედიკის

მიხეილ (მიშა) ესტატეს ძე ლომიძისა და ელისაბედ დიმიტრის ასულის ლომიძის

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე.
(1—„—1)

ხუთშაბათს 28 აგვისტოს ანჩისხატის ტაძარში გარდახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი

დავით ქრისტეფორის-ძის სულხანიშვილის

სულის მოსახსენებლად. რასაც აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობებს და მეგობრებს უზომოდ დამწუხრებულნი განსვენებულის მეუღლე ნინო დიმიტრის ასული, დედა სალომე ივანეს ასული, ძმები: ალექსი და მიხაილ ქრისტეფორის-ძენი, შვილები: გიორგი შაქრო და სოფიო სულხანიშვილები და ცოლის და მარიამ დიმიტრის ასული ჩუგუნიძისა. წირვის დასაწყისი 10 საათზედ.
(1—2608—1)

სახალხო განათლების სამინისტროს ნებართვით დაარსდა

პირველი ქართ. ბუხჰალტერიის კურსები

ორივე სქესისათვის წლოვანობის განურჩევლად.

ალ. გ. საათაშვილისა

(წელიწადი მეორე)

კურსებზე შესვლა და პირობის გაგება ყოველ დღე შეიძლება დილის 9-დან 12 საათამდე და ნაშუადღევის 4-დან 6 საათამდე.

მისამართი: თბილისი, დუშეთის ქუჩა (1-ლი უბანი, წყნეთის ქ. ახლოს), სახლი № 9, ტრამ. ვაგონები №№ 5, 9
2—2607—1

გორში პარასკევს 29 აგვისტოს იმართება

დიდი საღამო-სეირნობა

საღამოში მონაწილეობას იღებენ: მომღერალი დავ. აკოფაშვილი, სახელმწიფო თეატრის მოცეკვავენი: ქ-ნი ლინევიჩ და ბ-ნი ლინევიჩ,

პოეტები: პაოლო იაშვილი ტიციან ტაბიძე და

ლელი ჯაფარიძე

სეირნობა მოწყობილი იქნება
მრავალი გასართობებით

სურათები, შარჟები, ქართული აუქციონი, ლატარია, ამერიკული ცხენები, ყვავილები, ინგლისური საჩუქრები.

ვახშამი ქეიფი დილამდე

სრულიად საქართველოს მწერალთა

ქართული დღეობა საზაფხულო შენობაში გაიმართება ხუთშაბათს 28 აგვისტოს

საკონცერტო დარბაზი:

1. ქართული სიტყვის სიმფონია: ყველა ქართველი მწერალი დღეობაზე.
2. მსოფლიო პოეზია: ლექსებს წაიკითხავენ: ფრანგი, ინგლისელი, იტალიელი, გერმანელი, რუსი, სომეხი თათარი, თურქი, ელინელი, სპარსელი, მთიელი ოსი და სხვა ტომის პოეტები.
3. ბალეტი: ყველა ეროვნული ცეკვა:

ლეკური
ნაური
მოზდოკი,
უზუნდარა
ესპანური
რუსული
მალაროსიული
ნორვეგული
ებრაული
რუმინული
სომხური
ტანგო არგენტინა

ცეკვისათვის მოწვეულნი არიან საუკეთესო ძალები როგორც ადგილობრივი ისე ბაქოდან მთიულეთიდან და ბათომიდან.

პრანდიოზული სეირნობა

პოეტების კარნავალი, იტალიანური ბალაგანი. „პეტრუშკა“ ოთხი თუთიყუში. საბედო ფურცლები. ყვავილების ნიაღვარი. ლექსები მეტეორიტები. ლატარია კარუსელი. სპეციალური კრებული: ყველა ქართველ მწერლის ხელთნაწერი და ფაქსიმილე ავტორების სურათებით. ერთი ნომერი „ქართული მოდებისა“. ოცდახუთი მოდელი შესრულებულ იქნება მხატვარ ლადო გუდიაშვილის მიერ. მწერლების მიერ ულამაზეს ქალის არჩევა. მომგებიანი ლატარია: 20 ფულიანი მოგება. პირველი მოგება ორი ათასი მანეთი ლიტერატურული დუქანი: „ქართული ბოჰემა.“ ბაღის შუაგულში საწნახელი კრიშონით სავსე. მილიონი ექსპრომტი ყველა ენაზე არა ჩვეულებრივი აუქციონი. და მრავალი სხვა. ღამის პირველ საათზე დაიწყება ბანკეტი რომელზედაც მოწვეულია ასი მწერალი სხვა და სხვა ტომის.

მუსიკა ევროპიული და აზიური. დასაწყისი კონცერტის საღამოს 9 საათზე. სეირნობა დილამდის.

დღეობის ქალბატონები: ქეთევან ამირაჯიბისა, მარიამ კვინიტაძისა, ალექსანდრა მელიქიშვილისა—ჰერცოგინია ლეიხტენ ბერგისა, ელისაბედ ორბელიანისა, ნინო გაბაშვილისა, თამარ მაყაშვილისა.

საღამოს პრეზიდენტი კოტე მაყაშვილი

მოითხოვეთ და იხმარეთ შეშის მაგიერ
ქვა-ნახშირი

ქვა-ნახშირს ორჯელ მეტი სითბო აქვს ვინემ საუკეთესო შეშას, იაფად ჯდება, იწვება ყოველგვარ ქვემო საბერვიან გერმეტიულ ფეჩებში და სამზარეულო პლიტებში. საგრძნობელ ეკონომიას წარმოადგენს კერძო ოჯახებისათვის, ხოლო განსაკუთრებულს სასწავლებლებისათვის, სასტუმროებისათვის, რესტორანებისათვის და სხვა და სხვა სამხედრო და სამოქალაქო დაწესებულებისათვის. აგრეთვე გვაქვს სამჭედლოებისათვის **საგანგებოდ დამზადებული ნახშირი** და **დიდ-ძალი კირი, საუკეთესო** ხარისხის და ხელმისაწვდომ ფასებში. საწყობები გვაქვს ბათომში, ფოთში, სამტრედიაში, ქუთაისში, გორში, თბილისში, ერევანში, ბაქოში და სხვა ქალაქებში. დაკვეთა შეიძლება დიდ პარტიობით და წვრილ წვრილად. ყოველგვარ ცნობების და შეკითხვის მისამართი: თბილისში, გრიბოედოვის ქ. № 6, ტელ. № 11—45.

ტყიბულის ქვა-ნახშირის გამსაღებელი მთავარი სააგენტო“.
15—1002—5.

ჰასკელის სიტყვის გამო

ამ თვის 23-ს სომხეთის პარლამენტში წარმოთქმულ ბ-ნ ჰასკელის სიტყვას აქვს საერთო ამიერ-კავკასიური მნიშვნელობა, თუმცა მთელი თვისი შინაარსით ეს სიტყვა მარტო სომხეთის დაცვასა და მის მოვლა-პატრონობაზედ მოგვითხრობს. მართლაც, სომხეთი ყველაზედ უფრო სუსტი მხარეა მთელს ამიერ-კავკასიაში რუსეთის საფრთხესთან ბრძოლის საქმეში და მაშასადამე ყველაზედ უფრო სახიფათოც ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა დამოუკიდებლობისათვის. თათრის და ოსმალოს უკანასკნელმა შემოსევამ მთლად უიმედოთ დასვა სომხეთი და იგიც ენერგიულად შეუდგა დენიკინთან საქმის გაწყობას და მის შემოყვანას ამიერ-კავკასიაში. ამ მიმართულებით მუშაობდნენ პარიზში საზონოვთან სომხეთის დელეგაციები, ხოლო პირდაპირ დენიკინთან—არარატის რესპუბლიკის მთავრობა. სომხური პრესსა იმედ წარკვეთილი მოკავშირეთაგან საჭირო დახმარების მიღებაში, უკვე შეუდგა იმის ქადაგებას, რომ დამხმარე ხელი და მაშველი ძალა სხვაგან ეძებნა, ეს მაშველი ძალა დენიკინია, ეს „სხვაგან“ რუსეთია. ამგვარად, სომხობა დენიკინის ნაფიც მოკავშირეთ უნდა გამხდარიყო და მთელის თვის ცოცხალის ძალით და ყველა მატერიული საშუალებით დენიკინის განკარგულებაში გადასულიყო. საკმარისი იყო დენიკინი აზერბაიჯანით ამიერ-კავკასიაში შემოჭრილიყო და ბაქო აეღო, რომ მთელი სომხობა მყისვე გვერდში ამოსდგომოდა და შეერთებულის ძალით აზერბაიჯანის რესპუბლიკა დაემხოთ; ამის შემდეგ ჯერი, მექანიკურად საქართველოზე მიდგებოდა. ამგვარად, სომხის მთავრობის დენიკინთან კავშირი ოსმალოს და თათრის საფრთხის სომხეთისგან ასაშორებლად, აუცილებლად გულისხმობდა საქართველოს, აზერბაიჯანის და დაღესტნის დამოუკიდებლობის სამუდამო განადგურებას და რუსეთის ბატონობის კვლავ დამყარებას მთელს ამიერ-კავკასიაში. ეს ნამდვილი და რეალური საფრთხე იყო, რომელსაც ყოველი დაკვირვებული ადამიანი გრძნობდა და ხედავდა.

პოლკოვნიკი ჰასკელის სიტყვა, სომხეთის პარლამენტში წარმოთქმული, საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ამიერ-კავკასია გადაურჩება დენიკინისა და სომხის მთავრობის ამ შეთქმულობას.

პოლკოვნიკი ჰასკელი კატეგორიულის კილოთი აცხადებს, რომ ის შესაძლო სისწრაფით ასრულებაში მოიყვანს პარიზის კონფერენციის დადგენილებებს სომხეთის ინტერესის დაცვის საქმეში.

პოლკოვნიკის ჰასკელი პირველ საჭიროებად სთვლის სამხედრო ძალის მიშველებას სომხეთისათვის, და იმედი აქვს რომ ამ მიზნით იგი ან ინგლისის შეიარაღებულ ძალას გამოიყენებს და ან, თუ ინგლისის ჯარი აქედან გავიდა, სხვა საშუალებით შექმნის საკმაოდ ძლიერ მხედრობას. პოლკოვნიკ ჰასკელს საჭიროდ დაუნახავს ეთქვა, რომ ეს ჯარი იმიტომ კი არ მიეცემა სომხეთს, რომ საქართველოს ან აზერბაიჯანის წინააღმდეგ იომოს, არამედ მხოლოდ იმისთვის, რომ დაიცვას თავისი დღევანდელი დროებითი საზღვრები. პოლკოვნიკს ისიც საჭიროდ დაუნახავს, რომ გაეფრთხილებია სომხეთის პარლამენტი, ისე არ გაეგო მისი, ჰასკელის, სიტყვები და დაპირებანი, თითქოს იგი აგრესიულად განწყობილი იყოს ან ოსმალეთის, ან საქართველოს ან აზერბაიჯანის მიმართ.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ პოლკოვნიკ ჰასკელის საქმეში ჩარევას მართლაც მოჰყვება სომხეთის წინააღმდეგ როგორც ოსმალთა ჯარის გამოლაშქრების, აგრეთვე თათრების შეიარაღებული ძალების მოქმედების შეჩერებაც. სომხეთი კ გონს მოვა, ძალას და სიმშვიდეს მოიკრებს და, თანახმად ჰასკელის რჩევისა, დაადგება მეზობლებთან კეთილგონიერ განწყობილების დამყარების გზას. საფრთხე-აცილებული და ჰასკელის მიერ ზურგ-გამაგრებული სომხეთი, უნდა ვიფიქროთ, გასწყვეტს ახალ განკარგულებამდე მაინც დენიკინთან საერთო შეთქმულების კავშირს. ამგვარად, დღეს დენიკინს მოაკლდება დიდათ დაინტერესებული დამხმარე ამიერ-კავკასიის თავისუფლების განადგურების საქმეში და თვის გეგმის განხორციელების ცდას დროებით მაინც გადასდებს.

ამაშია პოლიტიკური აზრი და ამიერ-კავკასიური მნიშვნელობა ჰასკელის სიტყვისა.

პრესსა

„ერთობა“ წარმოების განვითარებაზე

„ერთობა“ უკანასკნელ მეთაურში ეხება ჩვენი რესპუბლიკის საწარმოვო ძალების განვითარებას და შემდეგს სწერს:

„ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ცხოვრება დღითი დღე უარესდება. მრეწველობა და მეურნეობა ან სულ დაეცა, ან და სიკვდილის პირათ არის. ნაციონალური სიმდიდრის შექმნა კუს ნაბიჯით სწარმოებს და ხალხის მოთხოვნილებას ოდნავათაც ვერ აკმაყოფილებს, რის გამო ისედაც დაქვეითებული ეკონომიური და სულიერი კულტურა თანდათან სუსტდება და ქვეითდება. შრომისა და კაპიტალის მოძრაობა წარმოების თითქმის ყველა სფეროში სრულიად უმნიშვნელო მასშტაბით ხდება. ეს გარემოება კი მეტად სახიფათოა; სახიფათოა განსაკუთრებით დღეს—ამ საერთო და მსოფლიო კრიზისის ხანაში.

ცნობილია რომ ხალხის სიმდიდრეს ქმნის საწარმოვო ძალების განვითარება და მისი აყვავება. ევროპაში საწარმოვო ძალთა ამოძრავებამ უმაღლეს საფეხურამდე მიაღწია; კაპიტალის და შრომის ნაყოფიერება წარმოუდგენლათ გაძვირდა. იქ არ არსებობს მკვდარი და უსარგებლო კაპიტალი. ყოველივე ცოცხალი, შემოქმედებითი ძალა გამოყენებულია ქვეყნის ეკონომიურ და კულტურულ გაღონიერება-გაძლიერებისათვის.

უკანასკნელი ცნობები

ვეზუვის მწვერვალზე ორ ალაგას ცეცხლმა ამოჰხეთქა.

ორშაბათს დილით პუანკარე პარიზში დაბრუნდა.

ჰერც-ჰეროგი იოსები სახელმწიფო საქმეებს ჩამოსცილდა.

ციმბირში ბოლშევიზმი იზრდება.

იაპონიაში ციმბირიდან ჯარის გაყვანის გამო მღელვარება იზრდება.

ორენბურგელი ყაზახები ბოლშევიკების მხარეს გადადიან.

ბოლშევიკებმა დნეპრის მარჯვენა ნაპირზე მელილიოვკამდე დაიხია.

უკრაინის ჯარმა ოდესა აიღო.

ჩვენში ფული საზოგადოების ისეთ წრეებში დაგროვდა, რომ იგი სრულიად უმნიშვნელო და უსარგებლო გახდა. სპეკულიაციით მოგროვილი ფული წარმოებას ეცლება, სავაჭრო სფეროში გადადის და მონაგები ქაღალდის ფულებით კიდობნები ივსება.

შემდეგ „ერთობა"-ს უფრო მეტი მაგალითები მოჰყავს იმისა, რომ წარმოება ჩვენში შეჩერებულია. ჩვენ ხშირათ აღგვინიშნავს, რომ მენშევიკებს ხანდისხან „როგორც ზნე" წამოუვარს მონანიების გრძნობა და თავის თავს დაუწყებენ გამოსარჩლებას. ამ შემთხვევაშიც ასეა დღეს. ჩვენში ყველამ იცის, რომ საწარმოვო ძალების განვითარება შეჩერებულია, რასაკვირველია თვითონ მენშევიკების წყობილებით. ვინც ანგარიშს გაუწევს იმას, თუ როგორი პირობები შექმნა მმართველმა პარტიამ კაპიტალის განვითარებისთვის, მისთვის არაფერი ეჭვი არ რჩება, რომ თუ ეს პირობები არ გამოიცვალა ისე შეუძლებელია მრეწველობის განვითარება.

თუ „ერთობა", რომელიც დღეს შესტრფის მსხვილ წარმოების განვითარებას მოიგონებს იმ წარმოებას წარსულში, რომელიც სოციალ-დემოკრატების კანონებს დაუნგრევია და გაუნადგურებია ბოლშევიკური მეთოდებით—მაშინ მხოლოდ ნიანგის ცრემლებათ გამოჩნდება დღევანდელი წუხილი.

ვინ გაუხსნა გზა სპეკულიაციას, ვინ აჰყარა თავის მამულიდან მრეწველები, ვინ შექმნა ის ახალი კატეგორია მენშევიკური „ბურჟუაზიის"?

და განა არის რაიმე ნიშანი იმის, რომ მენშევიკები გამოსცვლიან თავიანთ ტაქტიკას?

ჯერ-ჯერობით მენშევიკებს კიდევ ჰყოფნის საქართველოში თავის თავად დაგროვილი სიმდიდრე მაგრამ კრიზისი მაშინ დაიწყება, როცა ეს სიმდიდრე გამოილევა და მენშევიკები დარჩებიან თავის ამარა თავის დაშრეტილი შემოქმედებით...

⁂

„სახალხო საქმე" ეხება სოფლის დღევანდელ უმწეო მდგომარეობას და მეტად დაგვიანებულად აღნიშნავს, რომ თუ მას დროზე არ მივხედეთ, შესაძლებელია, ჩვენი სახელმწიფო ნამდვილ განსაცდელში ჩავარდეს:

„მკითხველებს ალბად ეხსომებათ ის ფაქტები ძალადობის და უკანონობისა, რომლითაც სავსეა ყველა ნომერი გაზეთებისა, განურჩევლად მიმართულებისა. სოფლის მცხოვრები ეძებს და ნატრულობს ისეთს წესწყობილებას, როდესაც იგი უფლებრივ ნორმებით ნამდვილად უზრუნველყოფილი იქნება, საამისო მუშაობა, რასაკვირველია, სწარმოებს. მაგრამ იგი უჩინარია და ნელი ნაბიჯით მიმდინარეობს. საჭიროა უდიდესი ენერგია ამ საქმეში, რათა სოფელმაც იგრძნოს, რომ მას პატრონი ჰყავს და უფლებრივ სახელმწიფოში სცხოვრობს. ადმინისტრაციის გაწმენდა! რამდენი ხანია ამას გავიძახით, მაგრამ ეს ძახილი დღესაც ფრიად საჭირო და ახალია. თუ აქ ენერგია არ გამოვიჩინეთ, უეჭველია ამ ნიადაგზე აღმოცენებული უკმაყოფილება მეტად გაიზრდება და გადავა მთელ სახელმწიფოზე...

სოფელს მიხედვა უნდა, რეალური დახმარება და არა მარტო მიტინგები. უამისოდ ჩვენ მოგველის საქმის გართულება და იმ არეულობათა განმეორება, რომელიც წარსულში ვიწვნიეთ და რომელმაც დიდი მსხვერპლი და ენერგია დაგვახარჯვინა".

სოფელს რომ მიხედვა უნდა და მზრუნველობა, რომ საჭიროა დაუყოვნებლივი ზომების მიღება ათასი ჯურის ავანტიურისტ-ადმინისტრატორებისა და ქვეყნის აღმრევების ასალაგმავად,—ამას ჩვენ ვამბობდით მაშინაც კი, როდესაც „სახალხოს" პუბლიცისტები კალამს აწკრიპინებდნენ „რევოლუციის გასაღრმავებლად და გასაფრთხილებლად"... სოფლის სავაგლახო ვითარებაზე ჩვენ ვწერდით ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც სოციალისტ-ფედერალისტები მენშევიკებთან შეუღლებით სოციალისტურ მართებლობას აწესებდნენ სოფლად და ქალაქად და გუშინდელ აგიტატორებსა და ბუკინისტებს ხალხის ბედს აბარებდნენ... რასაც დასთესთ, იმასვე მოიმკით!

ქართულ კლუბში დღეს მწერალთა დღეობაა.

ქრონიკა

◆ **ანატომიის სრული კურსი.** ამ მოკლე ხანში გამოვა ნორმალური ანატომიის სრული კურსი (ოსტეოლოგია, მიოლოგია, სინდესმოლოგია და ნერვიული სისტემა) პროფ. ალ. ნათიშვილისა. წიგნის შეძენა შეიძლება მხოლოდ წინასწარ ხელის მოწერით. ჩაწერა შეიძლება პ. კორძაიასთან, ალ. ახვლედიანთან და ი. ჯამფორიასთან. ხელის მოწერის ფასი 100 მან.

◆ **ახალი წიგნი.** რედაქციამ მიიღო ამიერ კავკასიის კოოპერატივთა კავშირის გამოცემა „მასალები კოოპერატიულ მოძრაობისა საქართველოში" ნაწილი I-ლი. წიგნი შედგენილია საქართველოს სამომხმარებლო 1917 წ. ანგარიშების მიხედვით. გამოცემულია სუფთად და ღირს 25 მანეთი.

◆ **პლავსკის საქმე.** ამერიკელთა დამხმარე კომიტეტში მომხდარ ბოროტ-მოქმედების შესახებ გამოძიება ამ მოკლე ხანში დამთავრდება და სასამართლოს გადაეცემა. დამნაშავეთ იცვნეს პლავსკი და ბერეზინი.

◆ **სტუდენტების სამკერვალო.** სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კავშირის გამგეობა ამ მოკლე ხანში სასადილოსთან გახსნის სტუდენტთათვის იაფ ფასიან სამკერვალოს. მკერვალი მოწვეულია კიდეც.

◆ **ყაჩაღი მორჩაძის მოკვლის გამო.** ოკრიბიდან ჩამოსულ პირთა ცნობით, ყაჩაღი მორჩაძე მოუკლავთ არა მილიციონერებს, როგორც ეს გაზეთებში იყო აღნიშნული, არამედ მისვე ამხანაგ ძოწენიძეს. საქმე ასე ყოფილა: ადგილობრივ ადმინისტრაციას მოუსყიდნია ძოწენიძის მამა, შენს შვილს არაფერს დაუშავებთ, თუ მორჩაძეს მოჰკლავსო. მამის გავლენით ძოწენიძეს განუზრახავს თავის ამხანაგის მოკვლა და ტყეში მძინარ მორჩაძესთვის რევოლვერი დაუხლია. მორჩაძეს კიდევ მოუსწრია და თავისი ამხანაგი ძოწენიძე დაუჭრია და შემდეგ კიდეც გარდაცვლილა.

ქალაქის გამგეობაში

◆ **ბუღალტერის დანიშვნა.** თბილისის ქალაქის გამგეობამ მოიწვია ქალაქის თვითმართველობის მთავარ ბუღალტრის თანამდებობაზე ბ. გრ. გიგინეიშვილი.

◆ **დანიშვნა.** ქალაქის გამგეობამ სამედიკო-სასანიტარო ბიუროს ინსტრუქტორათ ექიმი კ. მეუნარგია დანიშნა.

მილიციაში

◆ 22 აგვისტოს სისხ. სამ. მილიც. დააპატიმრა ანნა კოლესნიკოვა, რომელმაც ავაკ არანუნიანცს მოჰპარა თეთრეული, ღირებული 800 მან. თეთრეული პატრონს გადაეცა.

— ამავე მილიციის აგენტმა დააპატიმრა მარიამ კოსოცავა და ევდოკია ევდოკიმოვა, რომელთაც 50 ათას მან. ღირებული ბრილიანტისა და ოქროს ნივთები მოჰპარეს მიხეილ ვალიშვილს.

ამავე მილიციამ დააპატიმრა ბარბარე შულგინა და მარიამ საგინაშვილი, რომელთაც მოუპარავთ ანასტასია ლიუბორსკაიასათვის ხალიჩა ღირებული 25000 მან. და 500 მან. გაუყიდიათ, ხალიჩა ჩამოერთვაც მყიდველს და პატრონს გადაეცა. საქმე კი საგამომძიებლო ნაწილს გადაეცა,

—

23 აგვისტოს დააპატიმრეს ალექსანდრა ვალიშვილი, რომელსაც სოფიო ბარნოვსკაიასათვის მოუპარავს ოქროს ნივთები ღირებული 6 ათას მანეთად. 22 აგვისტ. სისხლ. სამ. მილიციამ დააპატიმრა ამბარცუმ ონანოვი, რომელსაც გარეგინ ტერ მინასიანცისთვის მოუპარავს სახლის ავეჯეულობა და გაუყიდია. გაყიდული ნივთები მყიდველს ჩამოერთვა და პატრონს გადაეცა, ონანოვი კი საგამომძიებლო ნაწილს გადაეცა.

— ამავე მილიციამ დააპატიმრა გრიგოლ ნიკოლოზის ძე გელაშვილი, რომელმაც წარადგინა ფოსტაში ბაქოს საფოსტო კონტორის 2 ხელწერილი თითო 5000 მან. და მოითხოვა გადმოგზავნილი 10000 მან., ცნობების შეკრების შემდეგ აღმოჩნდა, რომ ეს ფული მიუღია 21 ივნისს მე-12 კომისარიატის მიერ შემოწმებულ უწყებით ვიღაც ტრამვაის მოსამსახურეს.

სამხატვრო ქრონიკა

◆ **მწერალთა დღეობა.** მწერალთა დღეობა, რომელიც დანიშნული იყო კვირას, 27 მარიამობისთვეს, დანიშნულია დღეს, ხუთშაბათს, 28 მარიამობისთვეს. დღეობის პროგრამა ფრიად საინტერესოდ არის შედგენილი და საღამოში მონაწილეობას იღებენ თბილისის და, საერთოდ, საქართველოს საუკეთესო ლიტერატურული ძალები. როგორც ქართველნი, ისე უცხოელნი, ქართველი საზოგადოება, იმედია, დღეს მხურვალე მონაწილეობას მიიღებს მწერალთა დღესასწაულში და თავისი დასწრებით დაამტკიცებს, თუ როგორ ძვირფასია მისთვის მისი სამშობლოს ლიტერატურა და ქართველი მწერლები.

◆ **კონცერტი და პოეზიის საღამო.** პარასკევს, 29 აგვისტოს, პროფ. ენრ. ბროჯი მართავს სახელოსნო კლუბში (პლეხანოვის პროსპ.), კონცერტს და პოეზიის საღამოს. აკაკი პაპავა წაიკითხავს რეფერატს: „თქმა ხელოვნებაზე". მონაწილეობენ ახალგაზრდა მგოსნები—გალაქტიონ ტაბიძე, ი. მჭედლიშვილი, ს. ფაშალიშვილი, არ. გაბუნია, მარიჯანი, გ. ცეცხლაძე, ს. წეველი და ს. გურული. კონცერტში: პროფ. ბროჯი, აკოფაშვილი, ვალერი ჯვარიძე, ლორთქიფანიძე და სხ.

◆ **ქ. გორი** ქ. გორში, პარასკევს, 29 აგვისტოს, საზაფხულო კლუბის შენობაში იმართება დიდი საღამო-სეირნობა. საღამოში მონაწილეობას მიიღებენ პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე და ლელი ჯაფარიძე. საღამოსთვის თბილისიდან მოწვეულნი არიან აგრეთვე სახელმწიფო თეატრის ბალეტის მოცეკვავენი, ქ-ნი ლინევიჩი და ბ-ნი ლინევიჩი და მომღერალი დავ. აკოფაშვილი. მოწყობილია მრავალი გასართობები და საღამოს პროგრამა საინტერესოთ არის შედგენილი.

პროვინციის ცხოვრება

ხ. ხუცუბანი.

პარასკევს ამ თვის 22-ს ადგილობრივ სკოლის შენობაში წარმოადგინეს „პატარა კახი". მოთამაშენი იყვნენ უმთავრესად ახალგაზდა ქართველი მუსულმანები. წარმოდგენას დიდძალი ხალხი დაესწრო.

სომხეთი

ოსმალური სოციალისტების პოზიცია.

სტამბოლში მყოფ ამერიკის სამანდატო კომისია, ოსმალურ სოციალისტური პარტიის წარმომადგენელნი, მოიწვია რათა გაეგო მათი აზრიც სომხეთის საკითხზე, და ოსმალეთის მანდატზე სოციალისტურ პარტიის თვალსაჩინო წევრს გაზეთის თანამშრომლისთვის შემდეგი განუცხადებია:

„სომხეთის საკითხის ჩვენ ვაკავშირებთ თურქულ საკითხთან. არც ერთი ელემენტი აბსოლუტური უმრავლესობას არ წარმოადგენს არც ერთი ადგილას. იქ, სადაც სომხები ცხოვრობენ როგორც ერთი კომპაქტიური მასსა, უმრავლესობა მაინც და მაინც ეკუთნის მაჰმადიანებს.

მაშასადამე არ შეიძლება ლაპარაკი არაბულ, სომხურ ან ბერძნულ უმრავლესობაზე. ამისთვის ჩვენ გვგონია, რომ იმ ადგილებს სადაც ცხოვრობენ კომპაქტიური მასსები, უნდა მიეცეს ქვეზი-თვითმართველობა (?) ეს პატარა ავტონომიური სახელმწიფოებმა უნდა შეადგინონ ერთი კონფედერაცია რომელიმე დიდი სახელმწიფოს მანდატის ქვეშ. ამნაირად ვიცავთ ამ თვალსაზრისს ამერიკულ კომისიის წინაშე. მაგრამ კომისიის სხდომაზე არ წაველით, რადგან დიდი განსხვავება გამოჩნდა სხვა პარტიებთა შორის".

სურსათის მოწოდება.

გაზ. „ჩაკ"-ის ცნობით სომხის სტამბოლის ვაჭრები ამზადებენ დიდ ძალ სურსათს კავკასიაში [illegible] ნაწილი გამოგზავნილია კიდეც. ბოლო დროს შესდგა ამხანაგობა, რომელშიც შედიან ოსმალეთისა და რუსეთის მდიდრები სომხები. ეს კამპანია 10,000 ქილოზე მეტ შაქარს გზავნის ბათომში.

(„ჩაკ.")

„მილლი აჰრარ" პარტიას არ უნდა სომხეთის აღდგენა.

ოსმალური პარტიამ „მილლი აჰრარ" ამერიკის დელეგაციის ნოტა გაუგზავნა რომლითაც უარჰყოფს ვისამე მანდატი, ხოლო სურვილს გამოთქვამს ამერიკის ან ინგლისის დახმარებაზე.

რაც შეეხება სომხეთის საკითხს „მილლ აჰარარ"-ის აზრით სომხეთის და ოსმალეთის საკითხი ერთია და ამიტომაც უარყოფს ამერიკის დელეგაციის თვალსაზრისს სომხეთის ოსმალეთიდან გამოყოფაზე.

(„ჩაკატამ".)

პოლკ. ჰასკელი სომხეთში.

(სომ. დეპ. საავ. ცნობა).

პოლკ. ჰასკელმა პრემიერ მინისტრ ა. ხატისოვს აუწყა, რომ მას დავალებული აქვს პარიზის კონფერენციის მიერ სომხეთის ხალხის დაცვა შინაურ და გარეშე მტერთაგან, სასურსათო საქმის მოწესრიგება და ლტოლვილთა მოწყობა. ერევანში ჯერჯერობით ის დარჩება მხოლოდ 3 დღეს გაეცნობა ამ ქვეყნის მდგომარეობას და საჭიროებას და შემდეგ გაემგზავრება თბილისში. იქ დაჰყოფს ერთ კვირას და შემდეგ თავისი ოფიცრებით დაბრუნდება ისევ ერევანში. სომხეთზე შეკრებილ ცნობებს თავის პირადი აზრის დამატებით იგი გაჰგზავნის პარიზის კონფერენციაზე. საერთოდ იგი იმედს გამოსთქვამს, რომ მანდატის საკითხის გამორკვევამდე იგი შესძლებს სომხეთის ხალხის ფიზიკურად გადარჩენას.

ამერიკაში ეხლა ირჩევა საზავო ხელშეკრულება, რომლის რატიფიკაციის შემდგომ ხალხთა ლიგის საკითხს განიხილავენ მხოლოდ შემდეგ დაიწყებენ სომხეთის საკითხის გარჩევას.

ერევანი, მარიამობისთვის 22-ს.

პოლკ. ჰასკელის შეხვედრა ა. ხატისოვთან.

პირველი ოფიციალური შეხვედრა პოლკ. ჰასკელისა და პრემიერ ხატისოვისა მოხდა მარიამობისთვის 21. საუბარი გაგრძელდა 4 საათს.

საუბრის დროს იქ იყო ქ-ნი ჰასკელიც იგი განსაკუთრებით ყურადღებით ეკცეოდა სომხეთის პოლიტიკურ ცხოვრებას. შეხვედრას წმინდა ინფორმაციული ხასიათი ჰქონდა, პოლკ. ჰასკელს უფრო აგულისხმიერებდა დროული საკითხები. პირველი საკითხი, რომელმაც პოლკ. ჰასკელის ყურადღება მიიპყრა, იყო აზერბაიჯანთან და საქართველოსთან საზღვრების გამორკვევის საკითხი.

მისი აზრით საქმეს ართულებს ნეიტრალი ზონის არსებობა.

გალაკტიონ ტაბიძის ლექსები

უკანასკნელი წიგნიდან—

„Crane aux fleurs"

I

საუბარი ედგარზე

ლანდებს სასახლეში მხოლოდ მაშინ ელი
როცა საუბარი ედგარ პოეზია!
აჩრდილს თანაზიარს მარად საშინელი
დასდევთ განწირულთა შავი პოეზია.
ხშირად მაგონდება: ფოთლებ-შემოცლილი,
სახე-მიბნედილი ქალის მწუხარება!
მთვარით დაბურული, მთვარით შემოსილი,
მთვარით დაძონძილი ოხვრა... შეყვარება!
(რად ხარ უცხოეთში? მე შენ გელოდები!)
მოვა შუაღამის ბნელი სტუმარივით...
სანთლებს გაანელებს, დარბაზს დააბნელებს,
მიდის სავარძელთან სხვაგვარ მდუმარებით.
უცხო მხარეები იგრძნეს ხომალდებმა,
ფარდა შეირხევა როგორც ყრუ ფოთოლი.
კოშკთა სიმაღლიდან რეკავს მოლანდება,
ცივი უდაბნოა ღამე უშფოთველი.
თანაც გაიხედავ: შენაც დაღამდები—
ირგვლივ დამჭკნარია ფერი და ფერვალი:
ასეთ სანახავად—როგორც თანამდები
ბაღში შეშლილივით კვდება თებერვალი!

II

შემოდგომა „უმანკო ჩასახვის" მამათა სავანეში

ამ მაისს, ამ ივნისს, ამ ივლისს
გადირეკს ნოემბრის ბაღები.
მხურვალე ვნებები გამივლის,
სასახლის ჩაქრება ჭაღები.

დარჩება აუზთან სანდალი
და ძველი ფოთლები, ყვითელი...
რომანზე ისვენებს შანდალი,
რომანში შეშლილი სკვითელი.

ვეწვევი განდეგილ მამათა
„უმანკო ჩასახვის" სავანეს:
იქ შავი თოვლივით დამათოვს
ჰვარტლი და ბურუსი თავანის.

სიმკაცრით შემხედავს საშვენი
თვალები შეკრული კამარას:
ჯვარს ეცვი, თუ გინდა! საშველი
არ არის. არ არის, არ არის!

დაჰქრიან უდაბნო ქარები,
მტანჯავენ და ვიცი: გახსოვარ!
სამრეკლოს ანგრევენ ზარები...
წმინდაო, წმინდაო მაცხოვარ!

გრიგალთა სადაურ შებერვას
მისდევენ ფოთლების შვავები...
თებერვალს უხმობენ, თებერვალს
სამრეკლოს ჯვარიდან ყვავები!

და ვიცი ღელვათა საგანი
როდესაც ღამეა უკუნი,
და ჩემი მდუმარე საკანი
და ცეცხლის მფარველი გუგუნი.

ერთგვარად მიიტანს ამ სახის
ლოცვისთვის ზმანება მტკივანი:
გაზელებს —მგოსანი სასახლის,
ხელთათმანს—სასახლის მდივანი.

III

მარიამ ანტუანეტა.

შორეული ქალის ეშხი
მოვა... მაგრამ როდის?
სიყვარული სასახლეში
მხოლოდ ერთხელ მოდის!

ასეთია ნაზი ბედი,
ბედი რჩეულ ფერის:
სიცოცხლეში თეთრი გედი
მხოლოდ ერთხელ მღერის!

ყვავილები უხვად არის:
დენდის... მეფე მონის.
ქარში ათრობს არე-მარეს
ოხვრა ტრიანონის.

და ლანდებათ თეთრ სარკეზე
ჩნდება სახე-მკრთალი
შუაზელი ესტარგეზი
და თვით დედოფალი.

ზრდილი, ნაზი და მეფური
ჩემი ძველის-ძველი
ლექსი არის უნებური
სიზმრით შემმოსველი.

მხოლოდ თეთრი შადრევნებით
მე ვერსალის ბროლი
მაცდურ თვალის გადევნებით
მტანჯავს მსუბუქ-მქროლი.

დედოფალო! ლურჯა რაში
მიქრის საშიშ-ჩქარი
და ბილიკთა ლურჯ-ქვიშაში
მიაქვს მძაფრი ქარი!

მიქრის დალალ-გადაყრილი
დოვინ—დოვენ - დოვლი:
თოვლი, ფიფქი და პრილი
ვარდისფერი თოვლი.

IV

ლურჯა ცხენები

როგორც ნისლის ნამქერი, ჩამავალ მზით ნაფერი,
ელვარებდა ნაპირი სამუდამო მხარეში!
არ ჩანდა შენაპირი, ვერ ვნახე ვერაფერი,
ცივ და მიუსაფარი მდუმარების გარეშე.

მდუმარების გარეშე და სიცივის თარეშში
სამუდამო მხარეში მხოლოდ სიმწუხარეა!
ცეცხლი არ კრთის თვალებში, წევხარ ცივ სამარეში,
წევხარ ცივ სამარეში და არც სულს უხარია.

შეშლილი სახეების ჩონჩხიანი ტყეებით
უსულდგმულო დღეები რბიან, მიიჩქარიან!
სიზმარიან ჩვენებით—ჩემი ლურჯა ცხენებით
ჩემ იან მოესვენებით! ყველანი აქ არიან!

იჩქარიან წამები, მე კი არ მენანება:
ცრემლით არ ინამება სამუდამო ბალიში;
გაქრა ვნება-წამება—როგორც ღამის ზმანება,
ვით სულის ხმოვანება ლოცვის სიმხურვალეში.

ვით ცეცხლის ხეტიალი, როგორც ბედის ტრიალი,
ჩქარი გრგვინვა-გრიალით ქრიან ლურჯა ცხენები!
ყვავილნი არ არიან, არც შვება-სიზმარია,
ეხლა კი სამარეა შენი განსასვენები!

რომელი ცნობს შენს სახეს, ან ვინ იტყვის შენს სახელს?
ვინ გაიგებს შენს ძახილს, ძახილს ვინ დაიჯერებს?
ვერავინ განუგეშებს საოცრების უბეში,
სძინავთ ბნელ ხვეულებში გამოუცნობ ქიმერებს!

მხოლოდ შუქთა კამარა ვერაფერმა დაფარა:
მშრალ რიცხვების ამარა უდაბნოში ღელდება!
შეშლილი სახეების ჩონჩხიანი ტყეებით
უსულდგმულო დღეები ჩნდება და ქვესკნელდება.

მხოლოდ ნისლის თარეშში, სამუდამო მხარეში
ზღვით თუ სამარეში, წყევლით შენაჩვენები
როგორც ზღვის ხეტიალი, როგორც ბედის ტრიალი,
ჩქარი გრგვინვა-გრიალით ქრიან ლურჯა ცხენები!

ნახევარი საათის განმავლობაში პრემიერი ამ საკითხისათვის აწვდიდა საჭირო ცნობებს ამის შემდეგ პოლკ. ჰასკელი საფუძვლიანად გაეცნო სომხეთის საჭიროებებს და მთავრობის მოთხოვნილებებს.

უმთავრესად პოლკ. ჰასკელს აინტერესებდა სასურსათო, ეკონომიური და ფულის სისტემის საკითხი, ამ წლის მოსავალი, ფეხსაცმელის და ტანსაცმელის რაოდენობა და სხვა

საღამოს 7 საათზე პოლკ. ჰასკელისათვის ცნობების მისაცემად შესდგა მინისტრთა კრება.

აზერბაიჯანი

რაუტი ინგლისელების პატივსაცემად

კვირას 24 აგვისტოს, საღამოს 8 საათზე, რესტორან „მეტროპოლ“-ის დიდ დარბაზში, აზერბაიჯანის მთავრობამ გამართა გამოსათხოვარი ნადიმი, ინგლისის სარდლობის პატივსაცემლად.

რაუტს დაესწრნენ: გენ. კორი, გენ. შატელვორტი, პოლკ. სმოკსი, სახელმწიფო ბანკის მართველი გეველკე, მინისტრთა თავმჯდომარე უსუბეკოვი, საგარეო საქმეთა მინისტრი გ. ი. ჯაფაროვი, სამხედრო მინისტრი გენ. მეხმანდაროვი, ჯ. გაჯინსკი, საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენელი ბ-ნნი ნ. ი. ქარცივაძე და გ. ქ. ალშიბაია და საქართველოს ელჩი ინგლისში ბ-ნი დ. ლ. ღამბაშიძე. რაუტს დაესწრნენ ბაქოში მყოფი ყველა უცხოელ სახელმწიფოთა წარმომადგენელნი იმათს შორის იტალიის მისია პოლკ. გაბას მეთაურობით, მინისტრთა თავმჯდომარემ უსუბეკოვმა და გენ. შატელვორტმა, ერთმანეთეს გამოეთხოვენ მგრძნობიარე სიტყვებით.

ღამის 11 საათზე წამავალთ მიართვეს მთავრობის ავტომობილები და აზერბაიჯანის მთავრობასთან ერთად გაემართენ სადგურისაკენ. სადგური ლამაზათ იყო მორთული ყვავილებით და ეროვნული დროშებით. სადგურის ბაქანზედ გაწყობილი იყვნენ აზერბაიჯანის მთავრობის საპატიო დარაჯები.

ღამის 12 ნახ. საათზე ინგლისელები განსაკუთრებული მატარებლით გაემართენ ბათომისაკენ.

გამოსათხოვარი დარბაზობა.

ბაქოდან წასვლის წინ, გენ. შატელვორტი და მის შტაბის უმფროსი, სადარბაზოთ იყვნენ მინისტრ თავმჯდომარე ლ. ბ. უსუბეკოვთან მის ბინაზე, დიდხანს ესაუბრნენ მას. ინგლისელნი ესაუბრნენ აგრეთვე მას მის კანცელარიაში.

გენ. ბარათოვი ბაქოში.

24 მარიამობისთვეს ბაქოში ჩავიდა მოხალისეთა არმიის საწარმომადგენლო მისია გენ ბარათოვის მეთაურობით.

ბაქოს რადიო სადგური

ბაქოს რადიო სადგური, რომელიც ინგლისელ სარდლობის განკარგულებაში იმყოფებოდა, უკვე ჩაიბარა აზერბაიჯანის მთავრობამ. ის მანქანები რომლითაც ინგლისის სარდლობამ გააძლიერა ეს რადიო სადგური, მათვე მოხსნეს წასვლის წინ. აზერბაიჯანის საფოსტო სატელეგრაფო უწყებას, ამ ჟამად სადგური უკვე წეს-რიგში მოყავს და მალე შეძლება ექნება მიიღოს ყველა რადიო ცნობები.

ზემო-სილეზიაში

(ინგლ. რადიო)

ცენტრალურ ევროპაში რკინის გზით მოძრაობა დამოკიდებულია უმეტეს ნაწილად იმ შედეგებზე, რომელსაც მიაღწევს მოკავშირეთა კომისია, რომელიც ეხლა ხან გაემგზავრა სილეზიაში. თუ ამ რაიონში ნავთის დამუშავებას არ მოემატა, მაშინ ფაქტიურად რკინის გზების მოძრაობა 10 დღის შემდეგ შეწყდება, რადგან ნახშირი მეტ ხანს არც იკმარებს. სილეზიის დიდ სანახშირო რაიონში მაღაროების მესაკუთრეების უმეტეს ნაწილად გერმანელები, არიან, მუშები ‑ უმეტეს ნაწილად პოლონელები. გერმანიის მთავრობამ აუტანელ ცხოვრების პირობები შექმნა ამ უკანასკნელთათვის და ამ რაიონში მნიშვნელოვანი სამხედრო ძალა გაგზავნა, ვითომ იმ მიზეზებით, რომ აუცილებელია სპარტაკელთა მოძრაობის ჩაქრობა. მრავალრიცხოვანმა ჩხრეკამ, დაპატიმრებამ და გადასახლებამ 21 აგვ. გამოიწვია საერთო გაფიცვები, რომელიც ეხლა ნამდვილ აჯანყებათ გადაიქცა. პოლონელთა რაზმებმა იარაღით ხელში დაიჭირეს რამდენიმე სოფელი და გერმანელების წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყეს, გერმანელები პოლონელებს სჯიან. პოლონელები პოლონეთში მიდიან და თან მიყავთ გერმანელები მძევლებათ. ამერიკის პოლ. გუდიარი რომელიც ცენტრალურ ევროპაში ნახშირის განაწილებას ხელმძღვანელობდა ხუვერის მეთაურობით იქ იმყოფება და იმოქმედებს საფრანგეთის გენ. დიუპონთან და ინგლისის—მალკლონმთან ერთად, რომელნიც ეცდებიან მცხოვრებთა დამშვიდებას. გერმანიის ხელშეკრულების ძალით პლებისციტი უნდა მოხდეს სამი სახელმწიფოს მიერ ხეშეკრულების დამტკიცებიდან 15 დღის შემდეგ. მაშასადამე, უცხოეთის ჯარს არ შეუძლია ამ ტერიტორიაზე შესვლა არჩევნების დაწყებამდე და არც საჭირო იქნება იქ წესიერების დასაცავად. გუშინ ვერსალში ხუვერი გერმანიის წარმომადგენლებს არწმუნებდა, და თანხმდებულიყვნენ რომ სილეზიაში დაუყონებლივ გაიგზავნოს ჯარი წესიერების დასამყარებლად რადგან გერმანიისთვის მხოლოდ დამღუპველი მნიშვნელობა ექნება ქვა-ნახშირის სიმცირეს. შესწყდება ქვა-ნახშირის დამუშავება და მაღაროები წყლით გაივსება. სილეზია პოლონეთის საზღვრებზე 100.000 პოლონელმა მოიყარა თავი და სილეზიაში შეჭრას ლამობს თავის თანამემამულეთა დასაცავად გერმანელების მხრით დევნისაგან. ფიქრობენ, რომ თუ უცხოელები არ ჩაერივნენ, მდგომარეობა ვერ გამოსწორდება, რადგან მხოლოდ მათ მფარველობის ქვეშ განაახლებენ მუშაობას პოლონელები.

ამის გამო მოსალოდნელია სერიოზული საფრთხე და ეკონომიური გაჭირვება აუცილებელია, თუ შექმნილ მდგომარეობიდან გამოსავალი არ გამოინახა. უდიარმა დროებით შესძლო მტრული მოქმედების შეწყვეტა და სიკვდილით დასჯა, მაგრამ მდგომარეობა იმდენადაა გართულებული, რომ მოკლე ხანში სიწყნარის ჩამოვარდნის იმედი არ არის. საზავო კონფერენცია აგრეთვე ფიქრობს, რომ საჭიროა უცხოეთის ჯარის ჩარევა სანამ საზავო ხელშეკრულება არ იქნება დამტკიცებული და ამ გზით საშუალებას მიიღებენ, ხსენებულ რაიონში შევიდნენ და პლებისციტის დროს წესიერებას თვალყური ადევნონ.

საფრანგეთის ელჩი გერმანიაში

„ეხო დეპარი“ იუწყება, რომ საფრანგეთის ელჩად გერმანიაში ინიშნება ბ. დუტასტა, საზავო დელეგაციის გენერალური სეკრეტარი.

(„ჟურნალ დორიენტ“)

1919 წელს სავაჭრო-სამრეწველოებზე დადებული სხვა და სხვა სახელმწიფო და საქალაქო გადასახადები

(იხ. „საქართველო“ № 183 მოხსენება ალ. ჯაბადარისა, „1919 წლ. ხარჯები და სანიტარული გადასახადები.“)

საყურადღებოა თუ რა და რა დარგის ვაჭრობას რამდენი გადასახადი აქვს დადებული 1919 წელს. მოგვყავს ცხრილი:

რა სავაჭრო-სამრეწველოა?	ალებ-მიცემობის რაოდენობა.	პროცენტები საშუალო მოგებისა.	მ ო გ ე ბ ა.	ძირით. სახ. გადასახ. და ლიც. (საერთ., საქ. ვაჭ. და პატენტ.)	სამატებ. პროც. გადასახ. მოგებიდან.	6 პროც. საქ. საშემ. პატენტის.	გადასახადი მოგების ზრდისა.	საქ. გად. შემოს. (8 პროც. სახ. გად. შემოს.)	სახ. გადასახადი შემოსავლიდან.	სანიტარული გადასახადი.	გადასახ. გასართ. დაწესებ.	საქალ. აქციზი ღვინ. და სპირტზე.	ჯამი ყველა გადასახადებისა.	პროც. გად. მოგებიდან.
საკომისიო კონტორები.	50000	60%	30000	3622-50	6000	360	2066	308-56	3857	15000	—	—	31214—06	104
	100000	60%	60000	3622-50	12000	720	4690	864—	10800	25000	—	—	57696—50	96
	500000	60%	300000	3622-50	60000	3600	33880	6600—	82500	40000	—	—	239202—50	76
გასტრონ. და საბაკალეო სავაჭ.	500000	35%	17500	905-65	25000	150	1227	132-48	1656	6000	—	—	12571—13	72
	100000	35%	35000	905-65	7000	420	2607	384—	4800	8000	—	—	24116—65	68
	50000	35%	105000	3622-50	21000	1260	9810	1804—	22550	40000	—	—	100046—50	95
სასტ. და ავეჯ. მოწყ. ოთახები.	50000	40%	20000	3622-50	4000	240	1169	160	2000	10000	—	6000	27191—50	136
	400000	„	160000	3622-50	32000	1920	16033	2944	36800	30000	—	25000	148319—50	92
	800000	„	320000	3622-50	64000	3840	36160	7168	89600	60000	—	50000	314390—50	97
სამანუფაქტურო მაღაზიები.	50000	40%	20000	905-65	4000	240	1312	160	2000	6000	—	—	14617—65	73
	200000	„	80000	905-65	16000	960	6978	1216	15200	15000	—	—	56259—65	70
	600000	„	240000	3622-50	48000	2880	25617	4992	62400	30000	—	—	177511—50	73
აფთიაქები და აფთიაქ. საწყ.	50000	60%*)	38000	905-65	6000	360	2227	308-56	3857	5000	—	—	18658—21	62
	200000	„	120000	3622-50	24000	1440	11250	2016—	25200	10000	—	—	77528—50	64
	800000	„	480000	3622-50	96000	5760	56308	11552-	144400	50000	—	—	367642—50	76
კინემატოგრაფები.	200000	50%	100000	905-65	20000	1200	8438	1600	20000	15000	6000	—	127443—65	127
	600000	„	300000	3622-50	60000	3600	33880	6600	82500	20000	180000	—	390202—50	130
	1200000	„	600000	3622-50	120000	7200	71663	14480	181000	60000	360000	—	817965—50	136
ფეხსაცმელების მაღაზიები.	50000	50%	25000	905-65	5000	300	1652	240	3000	6000	—	—	17097—65	68
	200000	„	100000	905-65	20000	1200	8738	1600	20000	10000	—	—	67443—65	62
	1000000	„	500000	3622-50	100000	6000	58668	12040	150500	20000	—	—	350830—50	70
ს უ ლ	3.642.500												3.423.950 —	

ამ ცხრილიდამ ნათლად სჩანს რამდენად გართულებულია საგადასახადო სისტემა. რამდენად გადაჭარბებულია დაბეგვრა ვაჭარ მრეწველთა უსისტემობისა გამო. რამდენად საჭიროა ქალაქებისა და ერობათა უფლებათა კანონით აღნიშვნა მათ სასარგებლოთ გადასახადთა მაქსიმუმი ნორმისა პროც. და განსაზღვრა ხარჯთ დასადებ საგნებისა. უამისოდ სახელმწიფო გადასახადი უწყებას არ ეცოდინება საქალაქო ან საერობო ხარჯების რაოდენობა, ამ უკანასკნელთ—სახელმწიფო გადასახადებისა, სააქციზო და საბაჟო განყოფილებათ—ერთიც და მეორეც, ყველას გადამხდელის უნარი შეწერილ ხარჯების გადახდისა.

---

*) აქ უნდა აღინიშნოს შემდეგი უცნაურება. მთავრობის განკარგულებით აფთიაქებში წამლებზე წლის დამდეგშივე ნიხრს რომ ადებდნენ წამლებზე მოგება 20 პროც. იანგარიშეს. გადასახადთა განყოფილება კი 60 პროც. ანგარიშობს. მას შემდეგ ყველამ უწყის გაძვირდა წამლებისათვის საჭირო მასალაც, როგორც სხვა ყველა საქონელი.

ხელშეკრულების რატიფიკაცია

(„საქართველოსათვის“ საკუთარი თარგმანი)

ბრიუსელიდან იუწყებიან რომ პარლამენტმა ერთხმად დაადასტურა გერმანიასთან დადებული საზავო ხელშეკრულება. სხდომას დაესწრო 128 დეპუტატი.

გამარჯვების სესხი ინგლისში

ლონდონიდან იუწყებიან, რომ დღემდე გამარჯვების სესხმა ხაზინას მისცა 767.524.000 გირ. სტერლინგი. რაც ნავარაუდევზე 58.800.000 გირვანქა სტერლინგით მეტია.

სპარსეთი

თავრიზ-ჯულფის რკინის გზა.

თავრიზ-ჯულფის რკინის გზა სპარსეთის ხელში გადავიდა. რკინის გზის უფროსად ინჟ. ტრესინსკი დაინიშნა. („არ.“)

სპარსეთის მთავრობაში.

თავადი ნოსრად დოვი დაინიშნა გარეშე საქმეთა სამინისტროში. ყოფილი მინისტრი მოშავერ-ოლ-მემალექ რომში ელჩად დანიშნეს. („არ.“)

ოდესის აღება

(იტალიური რადიო)

ლონდონიდან რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ უკრაინის ჯარმა ბოლშევიკებთან ბრძოლის შემდეგ ოდესა აიღო.

ვეზუვის ამოხეთქვა

(იტალიური რადიო)

პორტიჩიდან მოსული დეპეშა იუწყება, რომ აგვ. 28 მოულოდნელად გაისმა ყრუ ხმაურობა და ვეზუვის მწვერვალზე ორ ალაგას ცეცხლმა ამოხეთქა. ორ მხარეზე წამოვიდა ანთებული სითხე. ვეზუვის კალთებზე მცხოვრებთ მოსალოდნელი უბედურება თავიდან ასცილდა.

ასკვიტი რუსეთის შესახებ.

ლონდონიდან იუწყებიან, რომ ასკვიტმა ლონდონში საუბრის დროს გამოსთქვა რომ ის მეტად მოხარულია რომ პრუსიის მილიტარიზმი საბოლოოდ დამარცხდა მაგრამ აღნიშნა აგრეთვე რომ რუსეთის საკითხი კიდევ დიდ საფრთხეს წარმოადგენს საერთო მშვიდობიანობისათვის. ასკვიტი „შიშით ადევნებს თვალ-ყურს იმ თამაშობას, რომელიც ინგლისმა რუსეთში დაიწყო.“ მისი აზრით „დღეს დრო არ არის ჯვაროსნულ ომებისა თუნდა ბოლშევიკების მოსარჯულებლადაც კი რუსეთის მომავალი მთავრობა—მხოლოდ რუსის ხალხის საქმეა და არავინ გარდა ამ ხალხისა არ დააწესებს ისეთს მთავრობას, როგორიც რუსეთს სჭირდება.

დეპეშები

(საქ. დეპეშ. სააგენტო)

მარიამობისთვის 27.

ფრანგული პრესა

ავსტრიის კონტრ წინადადების გამო.

ავსტრიის კონტრ-წინადადებაზე უმაღლეს საბჭოს პასუხის დამუშავება „გამაერთიანებელმა კომიტეტმა“ უკვე დაამთავრა. კვირას შუადღისას უმაღლესი საბჭო განიხილავს, ყველა საშუალებს, რომელიც ამის შემდეგ ავსტრიის რწმუნებულს რენნერს გადაეცემა: უკანასკნელი ისარგებლებს მიცემულ მოკლე ვადით და ავსტრია-შვეიცარიის საზღვარზე ეთათბირება თავის თანამშრომლებს. ფრანგული გაზეთები იუწყებიან, რომ რენნერი არ ეთათბირება ეროვნულ ყრილობის კომისიას, რადგან მისგან წინასწარ აქვს დაწვრილებითი ინსტრუქციები.

რუმინეთისადმი გაგზავნილი ნოტა.

უმაღლესმა საბჭომ გამოაქვეყნა უნგრეთში მოხდენილ რეკვიზიციათა შესახებ რუმინიისთვის გაგზავნილ ნოტის ზოგიერთი ადგილები.

რომანოვის ოჯახის წევრთა გვამები.

ომსკიდან იუწყებიან, რომ შარშან პერმის ახლო დახოცილ დიდი მთავრის (?) დიდი მთავრის ელისაბედის და რომანოვთა ოჯახის სხვა წევრთა გვამები მოიტაცეს და აღმოსავლეთში გაჰგზავნეს. ყოფილ მეფის და მისი ოჯახის წევრთა გვამები მათი დახოცვის უმალვე აუკუწიათ და დაუწვიათ. არის მკვლელობის ადგილზე მიღებული ნიშნები და ცნობები, რომელიც ამას ამტკიცებს. მეფის ერთერთი ქალიშვილის საყვარელ ძაღლის გვამი იპოვეს ჰეს ძირში ნაგავში ჩაგდებული: იქვე ჩაუყრიათ დახოცილთა გვამები.

უნგრეთის ახალი სამინისტრო.

ვენიდან იუწყებიან, რომ იქაურ გაზეთების ცნობით, ჰერც გერცოგი იოსები როგორც უბრალო მოქალაქე მოუცდის ეროვნულ ყრილობის არჩევნების შედეგებს. უნგრეთის ახალი მთავრობა კოალიციური იქნება. მასში შევლენ: ლოვაში პრემიერ მინისტრი, დ-რი ვაჟენი საგარეო საქმეთა მინისტრი, გარამი იუსტიციის, პეიდლი ვაჭრობის, დეპიერი შრომის.

პუანკარეს დაბრუნება.

ორშაბათს დილით პუანკარე პარიზში დაბრუნდა, მისი მოგზაურობით მცხოვრებლებს საშუალება მიეცათ გამოეჩინათ საფრანგეთისადმი თავისი ერთგულება. მას გზაში გულითად შეხვედრას უმართავდნენ.

ბელგიას მალმედი გადაეცა

ბელგიის ჯარმა გუშინ ოფიციალურად დაიჭირა ქ. მალმედი, რომელიც ბელგიას საზავო ხელშეკრულების ძალით გადაეცა. ქ. ქ. მონდიდიე, ამიენი და პერონი სამხედრო ორდენით დააჯილდოვეს იმ მამაცობისთვის, რომელიც იქაურმა მცხოვრებლებმა გამოიჩინეს მდ. სომაზე მომხდარ ბრძოლის დროს.

ერც-ჰერცოგი იოსები გადადგა

მართლდება, რომ უმაღლესი საბჭოს ნოტის გამო ერც ჰერცოგი იოსები სახელმწიფო საქმეებს ჩამოსცილდა.

გერმანული პრესა.

მოწოდება მუშებისადმი

გაზეთებში დაიბეჭდა მუშებისადმი ახალი მოწოდება, რომელშიაც სხვათა შორის ნათქვამია: „თუ მუშებისაგან მოითხოვენ მათი სამუშაო ძალის მოხმარებას, მათ დამქირავებლებს უნდა მოსთხოვონ მათი ქონებრივი საშუალებანი. მხოლოდ ეს მოგვცემს საშუალებას მოვიხადოთ ჩვენი ვალი. პოლიტიკის და ანარქიის გზიდან გამოგვიყვანს ჩვენ არა საყოველთაო გაფიცვები, არამედ საშუალებათა, ქონების და სამუშაო ძალის გამოყენება დაუძლურებულ სახალხო მეურნეობის აღსადგენად დადგება დღე, როდესაც სანანებელი გაუხდებათ, რომ ეს რჩევა მხედველობაში არ მიიღეს.

მაინის ფრანკფურტის იარმუკა.

გერმანიის მთავრობამ ყველა ზომები მიიღო საგანგებო მატარებლების და მოძრაობის სხვა საშუალებათა შესახებ მაინის ფრანკფურტის საერთაშორისო იარმუკისთვის. იარმუკის საჭიროებათათვის აშენებულ უზარმაზარ შენობასთან ახლო აწყობენ ქულბაქებს მათთვის, ვინც ბაზარზე მონაწილეობის სურვილი განაცხადა.

კრუპის ქარხანაში.

1914 წლამდე სამხედრო საჭიროებას ხმარდებოდა მხოლოდ ერთი მეოცედი ნაწილი იმ ფოლადისა, რომელიც კრუპს მოსდიოდა. 19 მეოცედი კი—სხვა და სხვა ტიპის ხომალდების აშენებას, მანქანების კეთებას და რკინის გზებს. მომავალში კი—მით უმეტეს ასე იქნება ეს.

ბერლინის პრესა უნგრეთზე.

ბუდაპეშტიდან მიღებულ უკანასკნელ ცნობით, ბერლინის პრესის უმეტესი ნაწილი იმ აზრისაა, რომ ყოფილ ავსტრია-უნგრეთის ჰაბსბურგთა ბატონობას ბოლო მოეღო, რასაც ისე ხსნიან, რომ დემოკრატიული იდეები იმარჯვებს, „ფორვერტსი“ ამის გამო ამბობს: „ამით დასრულდა ბუდაპეშტის კომუნისტების დრამის მეორე აქტი. ვიქონიოთ იმედი, რომ დემოკრატიულ საფუძვლებზე შექმნილი ახალი მთავრობა, რომელიც უმთავრესად სოციალისტურ მუშათა კლასს დაეყრდნობა, უნგრეთში წესიერებას დაამყარებს და აოხრებულ სახელმწიფოს აღადგენს.

ბოლშევიკური ცნობები

ურალის ყაზახები.

სამარა, აგვ. 26 ტყვე ყაზახთა სიტყვით ურალის ყაზახები სულიერათ დაეცნენ. ბაგდანოვი აგიტაციას ეწევა და ურჩევს ჩვენ მხარეზე გადმოსვლას.

პსკოვის აღება.

პეტერბურგი. აგვ. 22. თეთრ ესტონელთა გაზ. „ვაბა მაა“-ს ცნობით, პსკოვში ბოლოხოვიჩის რაზმისა და თეთრ ესტონელთა შორის დიდი უთანხმოება მოხდა. ესტონელებმა რომელნიც პირველნი შევიდნენ ქალაქში თავისი კომენდანტი დანიშნეს. ბოლოხოვიჩის რაზმმა, რომელიც ცოტა ხნის შემდეგ შევიდა ქალაქში, თავისი მხრითაც დანიშნა კომენდანტი. შექმნილმა ორ მთავრობიანობამ დიდი გაუგებრობა და უთანხმოება გამოიწვია. რუსის ჯარისკაცებმა ესტონელებს შეურაცყოფა მიაყენეს. ბოლოს საქმეში ჩაერია თვით ბოლოხოვიჩი, რომელიც დახვრეტით დაემუქრა ყველას. ვინც შეურაცყოფას მიაყენებს თეთრ ესტონელებს.

პსკოვში

პეტერბურგი. აგვ. 22. პსკოვში შიმშილია. რუსის შავ რაზმელთა გაზ. „ნოვაია როსია“-ს დახმარების იმედი აქვს ესტონიის მთავრობის მხრით; უკანასკნელი კი საზღვრების დაკეტვას აპირებს, რათა სხვა და სხვა ეპიდემიები არ შემოვიდეს.

შენკურსკი. აგვ. 17. თეთრების მიერ არხანგელსკში დაპატიმრებული საბჭოთა მთავრობის მუშაკნი რომ ლინც შემდეგ შენკურსკში გამოიქცნენ გადმოგვცემენ რომ დაპატიმრებულებს თეთრები საშილნად ეპყრობიან. მასხარად იგდებენ მათ ჯოხებით სცემენ და სულ უბრალო მიზეზით ხვრეტენ. კუნძული მუდიუგა მუშათა და გლეხთათვის სასაფლაოდ გადაიქცა.

გადასახადების გაუქმება.

მოსკოვი. აგვ. 22. ზემო სილეზიაში მდგომარეობა შესამჩნევად გამწვავდა მას შემდეგ რაც პოლონეთიდან დამხმარე ძალა მოვიდა. ეროვნულმა ყრილობამ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია რომელშიაც ის ინგლისის, საფრანგეთის ამერიკის და იტალიის სახალხო წარმომადგენლებს მიმართავს თხოვნით, ხელი შეუწყონ გერმანიის სამხედრო ტყვეების შინ დაბრუნებას.

საქართველო 1802—1820 წლებში.

ალექსანდრე ბატონიშვილი

5

ყველაზე უფრო წინააღმდეგი რუსის ორიენტაციისა და მათი საქართველოში გაბატონებისა ალექსანდრე იყო. ალექსანდრე მეტად ნიჭიერი და შორს მჭვრეტელი იყო, ესმოდა თუ რას უმზადებდნენ რუსები ქართველებს და მის ეს გულს უკლავდა.

ალექსანდრე 1800 წ. გიორგი XII სიცოცხლეში გაიქცა სპარსეთში. სპარსეთის შაჰიმ-ბაბა-ხანმა დიდის პატივით მიიღო ალექსანდრე და უბოძა მას ფირმანი და ხანობა. ბაბა-ხანი დაჰპირდა ალექსანდრეს დიდს დახმარებას და რუსების გაძევებას საქართველოდან. გეგმაც კი შეადგინეს—თითონ ბაბა ხანი კახეთს უნდა დასცემოდა, იმერლები და ახალციხის ფაშა ქართლს, ალექსანდრე სპარსელების ჯარით ბორჩალოს და ბოლოს ყველას თავი ტფილისში უნდა მოეყარათ.

რუსის მხედრობას ყველაზე უფრო ალექსანდრესი ეშინოდათ, მას მეტად გამოცდილ მეომრათ იცნობდნენ და გენიოსათაც სთვლიდნენ. იმპერატორი პავლე უთვლიდა გენ. კნორინგს, თუ ალექსანდრე თავის ნებით გამოცხადდება ყველაფერი ეპატიება მასო

ალექსანდრე კი ამას ყურადღებას არ აქცევდა.

როდესაც იმპ. პავლე გარდაიცვალა, ალექსანდრე I-მა საქართველოში გენერალი ციციშვილი დანიშნა. ციციშვილი თბილისში ჩამოვიდა 1803 წ. თებერვლის 1. ალექსანდრე I-ლის აზრით, საქართველო მხოლოდ მაშინ დაწყნარდებოდა თუ აქ აღარ დარჩებოდნენ ქვრივი დედოფლები და არც ერთი ბატონიშვილი და გადაასახლებდნენ რუსეთს.

ციციშვილმაც ყველაფერზე უმალ ამას მიაქცია ყურადღება. მას ყველა ბატონიშვილები აღარ დახვედრიან თბილისში. როგორც ზევით მოვიხსენიეთ ბატონიშვილები იულონი თეიმურაზი და ფარნაოზი იმერეთს გადაიხვეწნენ. მეფე ერეკლეს მეუღლის დედოფლის დარეჯანს და ბატონიშვილების დავითისა ვახტანგისა და ირაკლის რუსეთში გადასახლება ციციშვილმა ადვილად მოახერხა, მხოლოდ გიორგი XII მეუღლის მარიამის რუსეთში გადასახლებამ კი იმსხვერპლა რუსის გენერალი ლაზარევი, რომლის შესახებ ქვევით მექნება საუბარი.

სამშობლოდან გადახვეწილნი ბატონიშვილები მოსვენებას არ აძლევდნენ ციციშვილს. თითეული მათგანი დაუძინებელი მტერი გახდა რუსეთის მხედრობისა და ყველამ ერთად მიზნად დაისახა საყვარელ სამშობლოდან რუსების გაძევება. როგორც ზევით მოვიხსენიე ციციშვილს ყველაზე უფრო ალექსანდრესი ეშინოდა და სასტიკ ზომებს იღებდა, რომ ის ქართლში არ შემოეშვა. ალექსანდრეს არ ეძინა და ყოველ წუთში მზად იყო რუსებს თავს დასცემოდა, მხოლოდ შერჩეულ დროს უცდიდა, თანაც პროკლამაციებს უგზავნიდა ქართლ-კახელებს და მათ რუსების წინააღმდეგ მოუწოდებდა.

1804 წ. მაისში თბილისში მოვიდა სპარსეთის პირველი მინისტრი და ციციშვილს მოსთხოვა სპარსეთის სახელით საქართველოს დაცლა ციციშვილმა უპასუხა: „რუსები ჩვეულნი არიან ხიშტებით პასუხის გაცემასო“.

ბაბა-ხანსა და ალექსანდრეს უნდოდათ ქართლისაკენ გამოლაშქრება, მაგრამ მათ ძალიან ხელს უშლიდნენ ერევნის სომხები, რომლებიც მათ ღალატობდნენ და რუსებს უჭერდნენ მხარს. ბაბა-ხანმა 4,000 სომეხი გახიზნა ერევნიდან ოსმალეთის საზღვრებში. ციციშვილმა ისე მოახერხა, რომ გადასახლებული სომხები თბილისისაკენ გამოაპარა მათ ალექსანდრე დაედევნა უკან უნდოდა მათ დაწევოდა და გაეჟლიტა, გუმბრამდის სდია, მაგრამ ველარ დაეწია. მოღალატე სომხები ორი ათასი კაცი ბორჩალოში—ლორის ველზე დასახლდა, დანარჩენები ციციშვილმა ავლაბარში დაასახლა. ასე რომ თბილისელი სომხები ციციშვილის წყალობით გახდნენ აქაური მოქალაქენი.

ციციშვილი ერევნისაკენ გაემგზავრა, იქ უნდოდა შებრძოლებოდა ალექსანდრეს და დაესაჯა იგი. რამდენიმე დღის შემდეგ ერევნის ციხეს ალყა შემოარტყა, მაგრამ ზარბაზნები ცოტა ჰქონდა და ციხეს ვერაფერი დააკლო. ამ დროს, ალექსანდრე ბატონიშვილი ქართლის საზღვრებზე—ბორჩალოში გაჩნდა, მას იქაური თათრები მიემხრნენ და დაუწყეს სომხებს ქლეტა, თანაც ციციშვილს გზა მოუჭრა და ამოსწყვიტა მისი ზურგის ჯარი. შეშინებულმა ციციშვილმა 1804 წ. აგვისტოს 31 ერევანს ალყა მოხსნა და თბილისისაკენ გამოეშურა, სადაც დიდის ვაგლახით მოაღწია. ალექსანდრეს კი უნარი მოემატა და უფრო გაბედულად იწყო მოქმედება. ვინ იცის საიდან სად არ გაჩნდებოდა და როგორ უჭირებდა საქმეს ციციშვილს.

1812 წ. კახეთში ამბოხებამ იჩინა თავი. ალექსანდრე იქითკენ, მათ და სახმარებლად გაეშურა.

ენკენისთვის 6—ალექსანდრე თავისი ამალით მცხეთის მახლობლად მტკვარზე გავიდა და თიანეთში ამოჰყო თავი. კახელები სიხარულით შეხვდნენ ალექსანდრეს, მთელი კახეთი შეინძრა და დიდი და პატარა იარაღს ისხამდა და მისკენ მიეშურებოდა.

13 ენკენისთვეს ალავერდის დღეობაზე, სადაც თავს იყრის მთელი კახეთი და ფშავ-ხევსურეთი, ციციშვილი საგონებელში ჩავარდა, ეგონა ალექსანდრე ისარგებლებს ამით და თავს მეფედ გამოაცხადებსო.

ციციშვილმა რუსის პოლკოვნიკებს ტიხანოვსკის და პეჩორსკის უბრძანა სასწრაფოდ ჯარები შეეკრიბა და ალექსანდრეს დასდევნებოდა. ჯარი უნდა ალავერდში მისულიყო და ხელი შეეშალა ალექსანდრესათვის.

რუსის პოლკოვნიკებმა ბრძანება შეასრულეს, ალავერდში ავიდნენ, მაგრამ ბატ. ალექსანდრე არსად იყო.

წინდახედული ალექსანდრე სიფრთხილით მოქმედობდა. ის თიანეთიდან ჯერ სოფ. შილდაში ავიდა და მერე საბუეში. რუსის ჯარები ალექსანდრემ შუაში მოიმწყვდია და დიდათ ავიწროვებდა მათ. თბილისიდან გენ. ორბელიანი გაეშურა რუსის ჯარის საშველად. ორბელიანი ჩინ-ორდენებზე ჰყიდდა სამშობლოს.

დღე და ღამ კვალდაკვალ დასდევდა ორბელიანი ალექსანდრეს, მაგრამ ვერას გახდა. ალექსანდრე ხან ერთს ადგილზე გამოჩნდებოდა ხან მეორე ადგილზე და საქმეს უჭირვებდა ორბელიანს ამასობაში სოფლები ოხრდებოდნენ. კახეთი, ეს აყვავებული და სამოთხეს მსგავსი მხარე ცეცხლ მოდებულ საშინელ სანახაობას წარმოადგენდა. ბრძოლა ერთი სოფლიდან მეორეში გადადიოდა. ბოლოს ალექსანდრე ჩალაუბნის ხეობაში გამაგრდა, რომელიც კარგ სიმაგრეს წარმოადგენდა. ამ დროს ალექსანდრემ გაიგო, რომ თბილისიდან გენერალი სიმონოვიჩი*) მოსულიყო ჯარით და სოფ. საგარეჯოსთან დაბანაკებულიყო.

ალექსანდრემ მოინდომა სიმონოვიჩის ცალკე დამარცხება, სანამ ორბელიანს შეუერთდებოდა, ამ მიზნით მან ხეობა მიატოვა და სოფ. მანავში გადმოვიდა, რომელიც ძველ ციხე-სიმაგრეს წარმოადგენს. ძველად ამ ციხეს დიდი სამსახური გაუწევია კახელებისათვის. დღესაც შეეძლო ამ ციხეს სამსახური გაეწია ალექსანდრესთვის, რომ ცოტა გაემაგრებინა იგი, მაგრამ ეს ველარ მოასწრო, ორი მხრიდან რუსის ჯარი მიესია და ველარც მოკავშირე ლეკებმა მოუსწრეს. უთანასწორო ბრძოლაში ალექსანდრე დამარცხდა, კახეთი მიატოვა და ფშავ-ხევსურეთს შეაფარა თავი. ფშავ-ხევსურები ალექსანდრეს დიდის სიხარულით შეხვდნენ.

ალექსანდრე შუაგულ ხევსურეთში სოფ. შატილში გამაგრდა. მას მხოლოდ უფულობა აწუხებდა, მაგრამ ამ მხრივაც ჩქარა უზრუნველი შეიქმნა.

სპარსეთიდან იოსებ ანდრონიკაშვილმა მას 200,000 ოქრო მოუტანა ტახტის მემკვიდრე აბბას—მირზასაგან გამოგზავნილი. აბბას-მირზა დიდი მეგობარი იყო ალექსანდრესი და დიდ დახმარებასაც უწევდა, როგორც ფულით ისე ჯარით, რომ როგორმე რუსები გაერეკათ საქართველოდან.

ამ დროს საქართველოში ხმები გავრცელდა, რომ ნაპოლეონმა რუსეთი დაამარცხა, რუსის ხემწიფე ყაზანში გაიხიზნა, სთხოვს შერიგებას, მაგრამ ნაპოლეონი მხოლოდ მაშინ სთანხმდება თუ საქართველოს მეფობა დაუბრუნდება. ამ ხმებმა მეტად გაამხნევა ყველა ბატონიშვილები. ყაბარდოელებს, ქისტებს, ლეკებს, ჩაჩნებს პირი ჰქონდათ შეკრული, როგორც კი გზა გაიხსნებოდა ალექსანდრეს მიშველებოდნენ რუსები ამოეწყვეტათ.

ეს ყველაფერი გაიგო რუსის ჯარების სარდალმა ამისათვის შეეცადა ალექსანდრე დაემარცხებინა სანამ გაზაფხულდებოდა და მას მთიულნი მიეშველებოდნენ. თუ ვერ დაამარცხებდა ალექსანდრეს შორს მაინც განედევნა ქართლის საზღვრებიდან.

რტიშჩევმა თავდაპირველად ხევსურეთის გზები შეკრა, რომ ალექსანდრე ბარად არ ჩამოსულიყო. ამასთანავე გადასწყვიტა ჯარის გაგზავნა ხევსურეთში და მათი დასჯა.

ხევსურეთს თავის დღეში არ ახსოვდა გარეშე მტრის შემოსევა, მაღალ მთების შვილები მუდამ მიუწდომელნი იყვნენ მოხეტიალე უცხო ტომ ხალხისათვის.

ისტორიულ ქარიშხალს არა ერთხელ გაუვლია მათ ფეხქვეშ, მაგრამ ერთხელაც ვერ აუწევია მათ მთა გორებამდის. და არ დაურღვევია მათი მყუდრო ცხოვრება.

ამათ წინააღმდეგ გადასწყვიტა რტიშჩევმა გალაშქრება.

თავდაპირველად რტიშჩევმა ფშაველებს მიაქცია ყურადღება, მათი დამორჩილება მოისურვა.

რტიშჩევმა 40,000 სული საქონელი დაატყვევა. გარდა ამისა შეუკრა ქალაქის გზები, აუკრძალა მათ მარილისა და სხვა უსაჭიროეს სურსათის ყიდვა, მოსწყვიტა ბაზრებსა და ქალაქებს. ამის შემდეგ მოსთხოვა ალექსანდრეს დაჭერა. წინააღმდეგ შემთხვევაში მუქარას უთვლიდა და პირდებოდა, რომ ქვა-ქვაზე არ გაუშვებო.

მუქარას არ შეუშინებია ფშაველები, შიშს ისინი მიჩვეულნი არ იყვნენ, მხოლოდ 40,000 სულის საქონლის დატყვევებამ კი ძალიან შეაწუხათ. უსაქონლოთ მათ ერთ დღესაც არ შეეძლოთ გაძლება, საქონელი უმთავრესი სახსარი იყო მათი არსებობისა.

შევიწროებულმა ფშაველებმა ერთგულება აღუთქვეს, თუმცა კი გული ბოღმით ჰქონდათ აღვსილი. მაისის გასულს 1813 წ. რუსებმა ოთხი მხრიდან შეუტიეს ხევსურეთს.

რუსის ჯარმა დიდის ვაი—ვაგლახისა და გაჭირვების შემდეგ მიაღწია ხევსურეთის სოფ. ლაბნის კარს. გზაზე დიდძალი სალდათები დაუხოცეს ხევსურებმა. ხევსურები თავიდან ფეხებამდის იარაღში იყვნენ ჩასხმული და მათი ბასრი ხმლები, როგორც უბრალო ფიჩხს ისე სჭრიდნენ რუსის ხიშტებს.

ლაბნის კარიდამ გენ. სიმონოვიჩმა წერილი გაუგზავნა და მორჩილება სთხოვა ალექსანდრეს. წერილი ივანე გურგენიძემ წაიღო. ბანაკის მოწინავე ყარაულებმა გურგენიძე ხმლებით აკუწეს და წერილი ბატონიშვილს გადასცეს, რომელზედაც პასუხი არ მიუცია.

გაჯავრებული რუსის სარდალი შეტევაზე გადავიდა. თითეული ფეხის ნაბიჯი რუსებს ძვირად უჯდებოდათ. ხევსურები თავიანთ საყვარელ კლდეებში იყვნენ ჩასაფრულნი, ზედ იხოცებოდნენ, მაგრამ ნებით კი არას უთმობდნენ რუსებს.

სოფ. ტალაშკროსთან ორი დღე და ღამ განუწყვეტელი ბრძოლა იყო, გამარჯვება ხან ერთს რჩებოდა ხან მეორეს.

„ძალა აღმართს ხნავსო“ ამბობენ, მცირე რიცხოვანმა ხევსურებმა ვერ გაუძლეს ათჯერ მეტ მტერს და დამარცხდნენ. 600 საუკეთესო ხევსურმა დასდო თავი ბრძოლის ველზე არა ნაკლები რუსებმა დაჰკარგეს.

გამარჯვებული გენერალი სოფ. შატილისაკენ წავიდა, სადაც მას ალექსანდრე ბატ. ეგულებოდა.

ავქსენტი აბესაძე.

---

*) სიმონოვიჩმა სამხედრო გზა გასწმინდა მეამბოხეებისაგან და მერე კახეთში გადავიდა.

კორესპონდენცია

თიანეთი

ბ-ნ „ზედ-მეტის“ საპასუხოდ

გაზეთ „სახალხო საქმის“ 580 ნომერში ბ. „ზედ-მეტი“, ვითომდა სახალხო საქმისადმი გულ აჩუყებული და შემატკივარი, ეხება თიანეთის კოოპერატივს და სხვათა შორის. მოურიდებლად სწერს: „ყველას რაღაც ეშველა თიანეთის კოოპერატივს კი არაფერიო“. ნეტავ ვიცოდე რათ დასჭირდა ბ. „ზედ-მეტს“ ტყუილებით ენის მოქარგვა და ამოძრავება?! თიანეთში ვის რა ეშველა მე რა ვიცი, მხოლოდ ეს კი ცხადზედ უცხადესია, რომ შველას ჯერ დასაბამი არსად არ უჩანს. თუ თვით ბ. „ზედ-მეტს“ ეშველა რამე და ცხოვრება გაიუმჯობესა ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ყველას ეშველა.

„რაც დრო გადის კოოპერატივის მდგომარეობა უფრო უკან და უკან მიდის. გულშემატკივარი კი არავინა სჩანს. ან ვინ იქნება? გამგეობაში ერთს მუჭა ხალხს მეტი წილი ვაჭრები გაუყვანია, რომლებიც მის დასამარებაზე უფრო ფიქრობენ, ვიდრე კარგად „დაყენებაზეო“—გაბედვით განაგრძობს ენა ტკბილად მოუბარი „ზედ-მეტი“.

სიმართლე უნდა ვსთქვა, რომ რაც დრო გადის კოოპერატივის საქმე უფრო და უფრო წინ მიდის, რასაც მოწმობენ საანგარიშო წიგნები; ამას თვალნათლივ დაინახავს „ზედ-მეტი“ თუ კი მართლა გული შესტკივა სახალხო საქმეზედ და ერთხელ მაინც მოისურვებს ანგარიშების გადასინჯვას. გამგეობაში ურევია მარტო ერთი ვაჭარი, რომელსაც მადლობის მეტი არა ეთქმის რა, რადგანაც იგი ბევრჯელ აძლევს ფულს კოოპერატივს სესხად საქონლის სასყიდლად და ამასთანავე უსარგებლოდ. ერთი წევრია მასწავლებელი და ერთიც დიაკონი. სად არიან აქ ვაჭრები ან რა შუაშია მათი ხსენება!?

გამგეობას კიდევ ბრალსა სდებს ბ. „ზედ-მეტი“ იმაში, რომ მას დაუქირავებია ჭრელი გამგე, რომელიც თბილისში წასულა საქონლის მოსატანად, მაგრამ ჩამოტანის მაგივრად თავადაც აღარა ბრუნდება.—ესეც მტკნარი სიცრუეა. გამგეობას არავინ დაუქირავებია და არც ნება ჰქონდა ვისიმე დაქირავებისა. გამგეობამ თავისი წევრი ილიკო ფიცხელაური, რომელსაც კარგად იცნობს თიანეთის საზოგადოება, გაგზავნა სავაჭროდ თბილისში, მან სამჯერ მოაწოდა კოოპერატივს ნავაჭრი საქონელი და თუ აღარ დაბრუნდა იგი, ეს ძისი სურვილია, მხოლოდ კოოპერატივისთვის კი არაფერი დაუშავებია. დანარჩენ კითხვებზედ თვით ილიკო ფიცხელაური გასცემს პასუხს „ზედ მეტსა“.

სხვათა შორის ავტორი უსაყვედურებს გამგეობას, რომ მან გამგეს 25 მანეთის მაგივრად 50 მანეთი დაუნიშნა დღიური. მე მიკვირს სადა სცხოვრობს ამ სტრიქონების დამწერი ზეცაში თუ დედა-მიწაზედ?! ნუ თუ იგი ანგარიშს არ უწევს აუტანელ ყველაფრის სიძვირეს და თუ უწევს განა 50 მანეთი დღიური თბილისში ბევრია?! თუ მართლა გული შესტკივა ბ. „ზედ-მეტს“ თიანეთის კოოპერატივისათვის, უმორჩილესათ ვსთხოვთ მოიძანდეს კოოპერატივის გამგეთ და 50 მანეთის მაგიერ 25 მანეთი მიიღოს ხოლმე დღიური. მის ბედზედ ადგილი/ც არის თავისუფალი. თუ არა და ენაზედ კლიტე დაიდოს, რადგანაც ენა უკლიტოდ მორბედი ჭირია ულხინებელი.

თავისას არ იშლის, მართლაცდა ეს თიანეთისათვის ზედ-მეტი პიროვნება და თიანეთის მოტყუებულ გლეხკაცობის მოღალატეების სამარცხვინო ბოძზე გაკვრას მოითხოვს.

მე კი ვგონებ და დარწმუნებულიცა ვარ, რომ ამ სამარცხვინო ბოძზედ თვით ბ. ზედ-მეტი გაიკვრება თუ იგი ვაჟკაცურ გამბედაობას იქონიებს და გამოჩნდება თავის სიტყვის დასამტკიცებლად.

ისევ ისა სჯობია, ბ-ნო ზედ-მეტო, ტყუილებს უკლო, თორემ რომ იტყვიან:

ეს მიხვდეს სარგებელია
მართალი თქმულიც გაუხდეს
ცუდი და ურგებელიაო“-ო
სწორეთ შენც ეს დაგემართება.

გამგეობის თავმჯდომარე: **ლადო კაკაურიძე.**

წევრები: **ვ. მათუხელი, ქ. ბუზუტაშვილი.**

ივრის ხეობა.

ა. წ. 24 მარიამობისთვეს ს. სართიჭალაში ბ-ნ ა. ბილანიშვილის თავმჯდომარეობით და ვლ. არტუშკაშვილის მდივნობით შესდგა კრება, რომელზედაც დაესწრენ ივრის თემის ყველა ხმოსნები. კრების მიზანი იყო მოეხდინა ივრის თემის გამგეობის ძლიერი რეორგანიზაცია, დაეწესებინა წევრების ჯამაგირები და ერთი ახალი წევრიც ამოერჩია, ძველი წევრის განთავისუფლებულ ადგილზედ. ხანგრძლივი კამათის შემდეგ კრებამ ბ-ნ ვ. მაისურაძე გამგეობის თავჯდომარის თანამდებობიდან გაათავისუფლა და ადმინისტრაციის საქმეთა სექციის წევრად აირჩია. სხვა დანარჩენი წევრები კრებამ თანამდებობიდან გადააყენა. კრება, გამგეობის თავმჯდომარედ და წევრად, ერთხმად ამოირჩია აგრონომი ბ-ნი მ. ნანეიშვილი, როგორც საქმის კარგად მცოდნე; კრებამ გამოსთქვა დიდი, იმედი, რომ ბ-ნი მ. ნენეიშვილი თავისი დაუზოგველ ნაყოფიერ მუშაობით მოკლე ხანში გამოასწორებს იმ საქმეებს, რომლის შესრულებაც ძველმა გამგეობამ ვერ შესძლო. კრებამ მასვე დააკისრა სასურსათო საქმის მოგვარებაც რაიც პირველ მოთხოვნილებას შეადგენს საერთოდ მოვალეობისთვის. სადგილ-მამულო დარგში კრებამ ერთხმად აირჩია ს. პატარძეულის მცხოვრები ივრის ხეობაში კარგად ცნობილი და საქმეებშიც დახელოვნებული ბ-ნი ჯილაური, რომელიც დანიშვნისთანავე იქმნა განთავისუფლებული კამისრის თანამდებობიდან.

თვითეულ წევრს თვიურად დაენიშნა ათას ხუთასი მანეთი. (1.500 მ.). ამასთანავე ერთად კრებაზედ გადასწყდა, რომ თემის გამგეობა გადმოტანილ იქმნეს სოფ. ხაშმიდან სართიჭალაში.

კრება ნაშუადღევის 4 ს. გათავდა.

ქ. რაჭიშვილი.

„პენსიის“ საკითხი

(საუწყებათაშორისო კომისიის საყურადღებოდ)

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში მრავალი ინტელიგენტები არიან, რომელთაც მთელი თავისი სიყმაწვილე, ჯან-საღობა და ენერგია და მთელი თავისი ფიზიკური და გონებრივი ძალა შეუწირავსთ სამშობლოს სამსხვერპლოზე ამა თუ იმ საზოგადო და სახაზინო დაწესებულებებში თავისი ენერგიული, უანგარო და კეთილნაყოფიერი სამსახურით, მაგრამ ზოგიერთი დაწესებულებანი გააუქმეს, ზოგიც სხვა დაწესებულებას გადასცეს და მოსამსახურე მუშაკნი კი ცხოვრების პიწკარს გარეშე დარჩნენ უსახსროთ, ულუკმა-პუროთ და ქონებრივად დიდ გაჭირვებას განიცდიან, რადგანაც მათ არც „სალიკვიდაციო“ შემწეობა მიუღიათ, აღარც სამსახურში არიან მიწვეულნი და ჯერ კიდევ არც პენსია აქვთ მათ დანიშნული. ზოგი მათგანი ძალა გამოლეული და სამსახურისთვის გამოუდეგარი, ეგრედ წოდებული „ინვალიდები“ არიან. ზოგი ერთ მათგანს ფიზიკური და გონებრივი ძალა კიდევ შერჩენიათ, მაგრამ 25—30 წელი უმსახურნიათ და დასვენება სჭირდებათ. ასეთს მდგომარეობაში ჩავარდნენ, უმეტეს ნაწილად მამასწავლებელნი, ყოფილი საეკლესიო—სამრევლო სასწავლებლებისა, რომელნიც 1917 წელს ოფიციალურად და ფაქტიურად სახალხო განათლების სამინისტროს უწყებაში გადავიდნენ წასული 1918 წლის დამლევს საღმრთო სჯულიც გამორიცხული იქმნა სასწავლო საგნებას პროგრამიდგან და ამ სასწავლებლებში თავ-შეწირულნი და თავდადებულნი მუშაკნი, სამსახურს გარეშე დარჩნენ და ასეთ მგომარეობაში განა ერთი და ორი მუშაკია?!..

ერთი მიბრძანეთ, რომელი ბრიყვი და სულელი იქნება, მთელი თავისი ახალგაზრდული სიცოცხლით აღსავსე ჯანსაღობა შესწიროს და შეალიოს ამა თუ იმ საზოგადო და სახელმწიფო სამსახურს, თუ კი ის მომავალში ცოტათი მაინც უზრუნველყოფილი არ იქნება და სიმშილით სიკვდილის მსხვერპლი გახდება?! ეს ყოვლად შეუძლებელია, რადგანაც თვითეული ჩვენგანი თავის მომავალ ეკონომიურ მდგომარეობაზედაც ჰფიქრობს.

ჩვენმა მთავრობამ უწყებათაშორისო კომისიის საშუალებით ისეთი პროექტი უნდა შეიმუშაოს თავიანთ დაწესებულებათა მოსამსახურეების უზრუნველყოფისათვის, რომ მოხუცებაში „ინვალიდობის“ დროს თითონაც არ გახდნენ სიმშილით სიკვდილის წერად და თითონაც გამოადგესთ ახლად გამომუშავებული საპენსიო პროექტი. ნათქვამია: „ისეთი კალათი მოწანი, რომ შენ შვილის-შვილსაც გამოადგესო“.

ამიტომ, ძალიან სასურველი და სამართლიანია, მთავრობამ გაარჩიოს: 1) თუ ვის რამდენი ხანი სად უმსახურნია, 2) როგორი წარმატებით და ნაყოფიერად უმსახურნია და 3) თავისით მიუტოვებია სამსახური, თუ რისი მიზეზით დათხოვილა თანამდებობიდან? და ამ სამი გამორკვეული კითხვის მიხედვით ძალიან სამართლიანი იქნება პენსიის ვადის დამსახურებულებს და მასთან „ინვალიდებს“ დროს და სამსახურის ღირსების შესაფერისი პენსია დაენიშნოსთ, ხოლო ვადის ჯერ კიდევ დაუმსახურებულებს და ცოტა ხნის მოსამსახურეებს ისეთივე თანამდებობა მისცენ და იმსახურონ და თუ ეს უკანასკნელნი სამსახურს აღარ მოისურვებენ, ეს კი სხვა საკითხია, მაშინ მთავრობაც უვალო იქნება და თავისუფალი მათი საყვედურიდან.

სწორედ უნდა დაფასდეს ზნეობრივად და ქონებრივად სამსახურს გარეშე მყოფი პირებიც, თუ მათ სამსახურში ყოფნის დროსაც მნიშვნელობა და დაფასება ჰქონდათ.

ბესარიონ ჰიათურელი.

მოწოდება

სრულიად საქართველოს რესპუბლიკის სახალხო სკოლების მასწავლებელთა მიმართ.

შორაპნის მაზრის სახალხო სკოლების მასწავლებლებმა მიმდინარე წლის 20 ივლისის საერთო ყრილობაზე გაითვალისწინეს რა მნიშვნელობა სრულიად საქართველოს რესპუბლიკის სახალხო სკოლების მასწავლებელთა კავშირისა,—უსაჭიროესად სცნეს ახლო მომავალში დაარსდეს ასეთი კავშირი რისთვისაც შორ. მაზ. სახ. სკ. მასწ. კავშირის გამგეობა მოგიწოდებთ თქვენ ამხანაგებო, რათა საქ. რესპუბლიკის ყველა მაზრებში და ოლქებში მოახდინოთ, რაც შეიძლება დაჩქარებით, საერთო ყრილობები და დაარსოთ სამაზრო და საოლქო კავშირები სადაც ჯერ ასეთები არ არსებობენ. და აგრეთვე ყველამ აირჩიოს ყოველ 50-თ კაცზე თითო დელეგატი სრულიად საქართველოს საგ. სკ. მასწ. მომავალ ყრილობაზე და სასწავლებლად, რომელიც უნდა შესდგეს თბილისში.

შორაპნის მაზრის მასწავლებლებმა დელეგატები კიდეც აირჩიეს.

შორაპნის მაზრის სახალხო მასწავლებელთა კავშირის გამგეობა.

მოთხოვნა

დეკანოზ ნიკიტა თალაკვაძეს.

ცილისწამებისათვის 1917 წლის ნოემბერში მე თქვენ სინდისის სამართალში გამოგიწვიეთ. როდესაც თქვენ საქმის ჩაფუჩრება განიზრახეთ და კერძო წერილით გამიმასპინძლდით, იძულებული გავხდი სასტიკად მომეთხოვნა თქვენთვის სამართალში გამოსვლა.

1918 წლის 22 თებერვალს ვიღირსე თქვენგან თანხმობის მიღებას და გაზეთ „საქართველოს“ 45 ნომერში თქვენ მედიატორებიც დამისახელეთ და თანაც აცხადებით, რომ თქვენი მედიატორებივე მოელაპარაკებოდნენ ჩემებს. მას აქეთ ბევრ წელიწად-ნახევარი გავიდა და თქვენ კი ყურზე გძინავთ, ცხადია არ გეხალისებათ საქმის დაჩქარება... მაგრამ სამაგიეროდ მე ვთვლი საჭიროდ მის დანიშვნას, რომ აგხადოთ ნიღაბი და ნათელყო საზოგადოებისათვის თუ რას კადრულობდით საზოგადოებრივ საკითხში და კერძოთ თუნდაც ჩემს წინააღმდეგ.

მოგაგონებთ მოვალეობას და განიშნავთ ერთი კვირის ვადას დღიდან ამ წერილის დასტამბვისა.

დ. დავითაშვილი.

მიმოსვლა

სახალხო მატარებლებისა

ს. ს. რკ. გზ

გადის თბილისიდან.

ფოთში	№ 21	ღამ.	12 ს.	5 წ.
ქუთაისში	№ 10 9	საღ.	8 ს.	7 წ.
ბათომში	№ 5	საღ.	5 ს.	4 წ.
ფოთში	№ 3	დილ.	9 ს.	56 წ.
ბათომში	№ 1	ღამ.	11 ს.	30 წ.

მოდის თბილისში

ბათომიდან	№ 2	დილ.	7 ს.	—
ფოთიდან	№ 4	საღ	8 ს.	45 წ.
ბათუმიდან	№ 6	შუად.	12 ს.	10 წ.
ქუთაისიდან	№ 11,12	დილ.	9 ს.	30 წ.
ფოთიდან	№ 22	დილ.	6 ს.	06 წ.

თბილისი-სალოღლი

გადის სალოღლში

№ 8	საღამოს	6 ს.	5 წ.
№ 6	შუადღის	2 ს.	32 წ.
№ 4	საღამოს	9 ს.	50 წ.

მოდის სალოღლიდან.

№ 3	დილის	7 ს.	27 წ.
№ 5	ნაშუად.	3 ს.	5 წ.
№ 7	დილის	11 ს.	52 წ.

თბილისი-ქსანი გორი-ბორჯომი.

გადის

№ 63	შუადღის	2 ს.	40 წ.
№ 61	დილის	7 ს.	52 წ.
№ 19,20	შუად.	3 ს.	26 წ.

მოდის:

№ 19,20	დილ.	6 ს.	30 წ.
№ 62	დილ.	11 ს.	24 წ.
№ 64	საღ.	8 ს.	4 წ.

თბილისი-სანაინი

გადის:

№ 4,3 ს. შუად, 1 ს. 40 წ.

მოდის:

№ 4,3 ს. დილ. 11 ს. 30 წ.

შენიშვნა 1. მ. მ. №№ 21 და 22 დანიშნულება არის სამგზავრო სისწრაფის გადასაზიდები და მალე წასახდენი საქონლის.

შენიშვნა 2. მ. მ. №№ 61, 62, 63, 64 იმოძრავებენ თბილისისა, ქსნისა და გორის შუა: 1 წყვილი ივლის უქმე და კვირა დღეებში, 2 წყვილი უქმე და უქმის წინადღეებში.

საექიმო კაბინეტი
ექ. ა. ტყეშელაშვილისა

მიიღებიან: ვენერიული, კანის, სიფილ. და სხვა გვარ სნეულებანი ავათმყოფები სასქესო და საშარდე ორგანოთა (606 და 914 წამლობა) მიხეილის საავათმყოფოსთან, ფოსტის ახლოს პლეხანოვის (№ 55) და ბელგიის (№ 1) ქუჩების კუთხე საღამოს 6—7 ნახევარ საათ 25—2536—1

ბ. გ. მეგრაბიანი

შინაგანი ავადმყოფობა, ფილტვისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში, განსინჯვა და წამლობა X ს სხივებით, დიდი სალენიიდი და [illegible] კით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ღარიბებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 4—1 7—92.

სამკურნალო კაბინეტი ექიმის
[illegible]
[illegible]

იღებს კანის, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 6[illegible] შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათ. 11 საათ. და საღამოს საათ. 6 საათ. მიხეილის პროსპ[illegible] № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ ტელეფონი 14—25.

სამხედრო სამინისტროს სტამბა, ლორის-მელიქოვის ქუჩა № 3.